ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 72

5 მარტი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუს №6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 თებერვლის N21.212.246 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუს №6-ში, მეორე სართულზე მდებარე 100.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.020.01.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნათია ღუბელაძესა (პ/ნ. 19001054265) და მანანა კვარაცხელიასთვის (პ/ნ. 51001015918) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი